ეკატერინე ანთია, ნანა ივანელაშვილი

DOI: https://doi.org/10.52340/zssu.2022.14.17

ქართულ-ევროპული პარალელები და კათოლიკური ეკლესიის ხორცშეუსხმელი იდეა ჭკადუაშში

აბსტრაქტი: სტატიაში განხილული მრავალსაუკუნოვანი ქართულ-ევროპული კულტურული ურთიერთობის საინტერესო მოვლენები ნაჩვენებია სხვადასხვა რაკურსით. ვენს უშუალო ინტერესს ქმნის ქართულ-ფრანგული და უფრო მცირე ჭრილში დანახული კოლხურ-ფრანგული კულტურული ურთიერთობები. მას საფუძველი ჩაუყარა სამეგრელოს უკანასკნელი დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის შვილებითურთ საფრანგეთში გადასვლამ, რასაც მოჰყვა ორი დიდი დინასტიის დაახლოება სალომე დადიანის და პრინც აშილ მიურატის შეუღლებით. ომ არა ეს ფაქტი, ჩვენ ვერ ვისაუბრებდით კოლხურ მიწაზე, კერძოდ სოფელ ჭკადუაშში, სამეგრელოს ტერიტორიაზე, ერთადერთი კათოლიკური ეკლესიის იდეასა და განუხორციელებელ ხორცშესხმაზე. ეს საინტერესო და მეცნიერებისთვის აქამდე შეუმჩნეველი ფაქტი განხილული და გაანალიზებულია სტატიაში.

საკვანძო სიტყვები: კულტურული ურთიერთობები, საქართველო, კოლხები, ფრანგები, სალომე დადიანი, აშილ მიურატი, კათოლიკური ეკლესია

Ekaterine Antia, Nana Ivanelashvili

Georgian-European Relationships and the Catholic Church in Chkaduashi

Abstract: *The article presents interesting events in Georgian-European cultural relations over the course of centuries from different perspectives. Of immediate interest is Georgian-French relations as well as Colchian-French cultural relations, more specifically. This relationship was strengthened after the last Queen of Samegrelo, Ekaterine Chavchavadze-Dadiani moved to France with her children. After their arrival in France, Salome Dadiani ,the Queen's daughter, married Prince Achille Murat and the two great dynasties became close relatives.*

Despite this relationship and its outcomes, plans to build the only Catholic church in Samagrelo, in the village of Chkaduashi, has not been seriously studied by any previous researchers. This unique circumstance, therefore, is discussed and analyzed in an academic article for the first time in the present work.

Keywords: *Cultural relations, Georgia, Colchis, French, Salome Dadiani, Achile Murat, Catholic Church.*

სამეგრელო დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან საუკუნეების განმავლობაში პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობით გამოირჩეოდა. არც-ერთი ევროპული დინასტია არ არის მჭიდროდ დაკავშირებული საქართველოსთან, კერძოდ სამეგრელოს კუთხესთან, როგორც საფრანგეთის მიურატები.

რაც შეეხება ფრანგებს ქართული სინამდვილისათვის უცხო არ არის. პირველად სიტყვა "ფრანგი" IX-X სს. წერილობით ძეგლში "ცხოვრება წმინდისა ნინოსი" გვხვდება, სადაც სხვადასხვა სახით მოიხსენიებიან "ბრანჯნი", "ბრანჯი" და სხვა. მაგალითად: "მაშინ იწყეს ტირილად ბანჯთა მათ.... აღდგეს ბრანჯთა იგი და...."(1; 107-109) ივ. ჯავახიშვილის აზრით, წმინდა ნინოს ცხოვრებაში მოხსენიებული "ბრანჯნი" ფრანგები არიან.

კოლხურ-ფრანგული კულტურული ურთიერთობის გვერდის ავლა შეუძლებელია საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის გარეშე. საინტერესოა ფრანგი და ქართველი ხალხის ის პოლიტიკური, კულტურული ურთიერთობა, რომელმაც მრავალ ქარტეხილს გაუძლო. პირველი კონტაქტები საფრანგეთთან ფიქსირდება ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდიდან XI-XIII საუკუნეები და გრძელდება ფილიპე VI ვალუას და გიორგი V ბრწყინვალეს, გიორგი VIII-სა და ყვარყვარე ათაბაგის ელჩებს და კარლოს VII შორის. საფრანგეთთან საქართველოს ურთიერთობის მნიშვნელოვანი ფურცელია სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის მცდელობა(1611-1657), რომ სამთავროში დაეფუძნებინა ფრანგ იეზუიტ მისიონერთა ორდენი. XVII საუკუნეში ფრანგი მოგზაურები სხვადასხვა ქვეყნებში მიმავალნი გზად საქართველოში ჩერდებოდნენ, აკეთებდნენ ჩანაწერებს და ევროპას აცნობდნენ საქართველოსა და მის კუთხეებს: ტავერნიე, ჟ. შარდენი, ჟ. ტურნეფორი, მ. პეტი. XVIIIს-ის პირველ მეოთხედში კი კათოლიკე მისიონერები.

საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა აქტუალური ხდება XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში ნაპოლეონ ბონაპარტეს მოღვაწეობის დროს. აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, იმერეთის მეფე სოლომონ II ცდილობდა

კავშირი დაემყარებინა ნაპოლეონთან და დახმარება მიეღო. სამწუხაროდ, სოლომონ II-სა და ბონაპარტეს შორის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობას განხორციელება არ ეწერა.

1821-1921 თბილისში არსებობდა საფრანგეთის საკონსულო, ხოლო ქუთაისში, ფოთსა და ბათუმში მოღვაწეობდნენ ვიცე კონსულები. შეიძლება ითქვას, რომ საკონსულოს მოღვაწეობა საქართველოში რუსული მმართველობის დროს იყო "გაუფორმებელი დიპლომატიური ურთიერთობა"(2;14).

ამდენად, საქართველოს დიდი ხნის ისტორიულ-კულტურული ურთიერთობა ჰქონდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან, კერძოდ საფრანგეთთან ,,ევროპეიზმი, რომლისკენაც შემობრუნების საწყის ეპოქად XIX საუკუნეს ასახელებენ ხოლმე, ქართული კულტურისათვის, ფაქტობრივად, უძველესი დროიდანვე მომდინარე და შემდგომი საუკუნეების განმავლობაში განუშორებელი ტენდეცია იყო"(3,13).

ნიშანდობლივია, რომ ქართულ-ევროპულმა კულტურულმა ურთიერთობამ XIX საუკუნის 60-იან წლებში გაგრძელება ჰპოვა საქართველოს ერთ-ერთ კუთხე - სამეგრელოში, კერძოდ სოფელ ჭკადუაშში. სწორედ, სოფელ ჭკადუაში ორი დიდი დინასტიის დადიანების და მიურატების ნავსაყუდლად იქცა.

ვინ იყვნენ მიურატები და რა კავშირი ჰქონდათ დადიანთა სამთავრო სახლთან. ვინ იყო ჭკადუაშში დამკვიდრებული ის ევროპელი პრინცი, რომელმაც კათოლიკური ეკლესიის მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი?

როდესაც ვეხებით კოლხურ-ფრანგულ ურთიერთობას, უნდა აღვნიშნოთ, რომ დადიანების და მიურატების ცნობილი საგვარეულო დაახლოება დაკავშირებულია სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის სახელთან. საკუთარი ნების იძულებით, პოლიტიკური სპექტრით ,დედოფალმა ეკატერინემ შვილებთან ერთად სამეგრელოდან პეტერბურგში, ბოლოს კი საფრანგეთში, ნაპოლეონ მესამის და იმპერატრიცა ევგენია მონტინო დე გუსმანის კარზე გადაინაცვლა.

სწორედ, ფონტენებლოს სასახლეში შედგა სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის და ეკატერინე ჭავჭავაძის ასულის - სალომე დადიანის და ნაპოლეონ ბონაპარტის სიძის ნეაპოლის მეფის იოჰაიმ მიურატის შვილიშვილის აშილ მიურატის შეხვედრა. წყვილმა 1868 წელს იქორწინა და ავსტრიელ მწერალ ქალს, ბერტა ზუტნერს, წილად ხვდა სალომეს მეჯვარე გამხდარიყო . მისი მოგონებით ქორწინება სამი ჯვრისწერისაგან შედგებოდა ,,პირველად ახალგაზრდები სამოქალაქო წესით შეუღლდნენ პარიზის მერიაში, შემდეგ მათ ჯვარი დაიწერეს საფრანგეთის იმპერატორის და დედოფლის თანდასწრებით ტუილირიში, კათოლიკური რიტუალის მიხედვით და იმავე საღამოს დაქორწინდნენ ბერძნულ ეკლესიაში

მართლმადიდებლური რიტუალით"(4;46). ჯვრისწერის რიტუალი ხაზს უსვამს განათლებული ევროპელის პიროვნულ თვისებებს და იმ ღირებულებებს, როგორიცაა თავისუფლება და თანასწორობა.

1873 წელს ნაპოლეონ III გარდაცვალებამ და საფრანგეთში გართულებულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ ბონაპარტებს ყოველგვარი იმედი მოუსპო. განვითარებულმა მოვლენებმა ეკატერინე ჭავჭავაძეს უბიძგა შვილისა და სიძისთვის საცხოვრებლად სამეგრელო შეეთავაზებინა. სწორედ, აღნიშნულ პერიოდში დედოფლის მიწვევა მიიღო ოჯახმა და აშილ მიურატის და სალომე დადიანის სამეგრელოში დასახლება 1873 წლით თარიღდება.

ეკატერინე დადიანმა შვილსა და სიძეს სამემკვიდროდ გადასცა ზუგდიდის სასახლის ნაწილი, სოფლები: სალხინო და ჭკადუაში დიდი მამულებით. მათ მამულები ჰქონდათ სოფელ რიყეშიც, ქუთაისში საქალაქო მამული კარავან სარაის და გიმნაზიის ქუჩის გადაკვეთაზე.

სამემკვიდროდ გადაცემული მამულებიდან გამოვყოფთ ჭკადუაშს. ბერტა ზუტნერის დღიურიდან ირკვევა, რომ ჭკადუაშის სასახლის მშენებლობის ორგანიზება აშილ და სალომე მიურატებმა არტურ ზუტნერს დაავალეს. ,,ჩემი ერთადერთი" უნდა გამხდარიყო მათი მოურავი ჭკადუაშში, ადგილი, სადაც ყველაფერი ასაშენებელი იყო: სახლი, მარანი, ფერმის შენობები, ბოსელი, ბოსტანი, ყვავილების ბაღი, სტუმრების მისაღები სახლი... "ჩემი ერთად-ერთი" ეხმარებოდა მათ, ყოველივე ამის მოგვარებაში 4 წლის განმავლობაში "(ზუტნერები საქართველოში ეკატერინე ჭავჭავაძის მოწვევით 1876-1885 წლებში ცხოვრობდნენ და ამ წლების მეტი ნაწილი სამეგრელოში გაატარეს). დღიურის ჩანაწერის მიხედვით ჭკადუაშის სასახლის მშენებლობა 1878 წელს დაწყებულა და 1882 წელს დასრულებული სახითაა მითითებული.ამ პერიოდით თარიღდება მიურატ -დადიანების დამკვიდრებაც სოფელში.

მიურატებს საფრანგეთიდან სხვადასხვა მიმართულებით ევროპული ცოდნით აღჭურვილი კათოლიკური აღმსარებლობის ფრანგების ამალა ჩამოჰყვა.მათ შორის იყვნენ: ანტონ დე ნოალი, ჰერცოგი დე მუში (ანტუანეტას ნათლიები), კლოდ რიბო, მსახიობი ქალი ბურე, სკრიბუნასი, ფრანგი მზარეულები, მებაღეები და ა.შ. კათოლიკური აღმსარებლობის იყო თავად აშილ მიურატიც.
უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სალომეს და აშილის ვაჟები საფრანგეთში კათოლიკურ ეკლესიაში იყვნენ მონათლულნი. რაც შეეხება საქართველოში დაბადებულ ქალიშვილს,

ანტუანეტას, მეტრიკული წიგნის მიხედვით, ქუთაისის რომის კათოლიკურ ეკლესიაში 1879 წლის 11 ნოემბერს: "მონათლულია ჩვილი ეკატერინა-გორტეზია-ანტონია(ანტუანეტა) მღვდელი ანტონოვის მიერ. მათი მშობლები პრინცი აშილ მიურატი და პრინცესა სალომე დადიანის ასული სამეგრელოს მთავრის აწ გარდაცვლილის. ანტუანეტა დაბადებულია სოფელ გორდში 1879 წელს 1 აგვისტოს. ნათლიები იყვნენ: ანტონ დე ნოალი, ჰერცოგი დე მუში, მისი არ ყოფნის გამო ნათლობა ჩატარდა არტურ ზუტნერის და ეკატერინე დადიანის მიერ. მოწმეები: დავით ჟირუ, ერნესტ ფერრი დე ჰინი და იული მაცულევიჩი. ამის სისწორეს ადასტურებს ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის მღვდელი დ.სააკოვი"(6;4)

აღნიშნულ პერიოდში, დასავლეთ საქართველოში კათოლიკური ტაძარი მხოლოდ ქუთაისში ფუნქციონირებდა. ფაქტია, რომ აშილ მიურატის მამულში მცირერიცხოვანი, მაგრამ კათოლიკური აღმსარებლობის ფრანგები ცხოვრობდნენ. მათ კათოლიკური ერთობის ღირსეულ ნაწილად, რომ ეგრძნოთ თავი, აუცილებელი იყო ღვთისმსახურების ადგილი. XIXს-ის 90-იან წლებში პირველად სამეგრელოს სივრცეში, ჭკადუაშის მამულში პრინც აშილ მიურატმა, ინგლისელი მშენებლის აშორსტის ნახაზების მიხედვით საფუძველი ჩაუყარა მცირე ზომის კათოლიკური ეკლესისს მშენებლობას.(7;42)

კათოლიკურ ტაძარზე მიგვითითებს ს. ნუცუბიძის წერილი: "აშილ მიურატმა სამეგრელოში იცხოვრა 22 წელი. გარდაიცვალა 1895 წლის 15 თებერვალს, დაკრძალულ იქნა 29 თებერვალს თავის სახლის წინ ამაღლებულ გორაკზე მშენებარე ეკლესიის ეზოში. ეს იყო კათოლიკური ეკლესია, რომლის დამთავრება მან ვერ მოასწრო"(8). ასევე ჟურნალი ივერია გვამცნობს: "მიურატის პროცესიას დაკრძალვის დღეს წინ კელაპტრებით, ბაირაღებით, მგალობლებით მიუძღოდა კათოლიკეთა პატრი, უკან მიჰყვებოდა დიდძალი ხალხი... პრინცის ნაშთი მიიტანეს საკუთარ ჯერ-ჯერობით დაუმთავრებელ კათოლიკეთა ეკლესიის ეზოში, სადაც დამზადებული იყო ნაშთის დასაკრძალავად "აკლდამა". იქ დაასვენეს კუბო წესის ასაგებად"(10). როგორც ვიცით, როგორი ზომისაც არ უნდა იყოს ეკლესია, საეკლესიო მშენებლობა დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. ჩვენ ხელთ არსებული არც-ერთი დოკუმენტში ან მიმოწერაში მითითებული არ არის მიურატს მოეთხოვოს თანხა ან დახმარება როგორც საქართველოში ასევე საფრანგეთში.

ფაქტია, ეკლესიის მშენებლობის ინიციატორი, როგორც წესი მღვდელი არ იყო, არამედ თავად დამფინანსებელი დიდგვაროვანი პრინცი.

აღსანიშნავია, რომ მკვლევრები: მ. თამარაშვილი, ი. ტაბაღუა, მ. პაპაშვილი, ლ. გრიგოლია, ნ. ნაცვლიშვილი, ვ. ჩოჩია, გ.ჯამბურია და სხვები, რომლებსაც ფუნდამენტური კვლევები აქვთ მიძღვნილი კათოლიკობის გავრცელებასა და კათოლიკურ ეკლესიებზე, ჩამონათვალში არსად აფიქსირებენ ჭკადუაშის კათოლიკურ ეკლესიას. "XIX საუკუნესა და XXს-ის დასაწყისში, ძირითადად 1860-1910 წლებში საქართველოში როგორც ლათინური, ისე სომხური რიტის ოცზე მეტი კათოლიკური ეკლესია და სამლოცველო აშენდა"(9;8-9) წერს ნ.ნაცვლიშვილი, მაგრამ ამ პერიოდში აშენებული ჭკადუაშის კათოლიკური ეკლესია არც აღნიშნულ ნაშრომში ჩანს.

ვფიქრობთ, რომ ჭკადუაშის კათოლიკური ეკლესიის შესახებ ინფორმაციის არ არსებობა განპირობა იმ გარემოებამ, რომ აშილ მიურატის გარდაცვალებიდან ერთ წლის შემდეგ, სალომე დადიან-მიურატმა 1896 წლის 23 ნოემბერს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს გრიგოლ დადიანს ტაძარი მართლმადიდებლურად აკურთხებინა .ისიც ნიშანდობლივია,ეკლესია რომ წმინდანის - ალექსანდრე ნეველის სახელობისაა. იმ წმ. ალექსანდრე ნეველისა, რომელსაც პაპმა ინოკენტ IV-მ კათოლიციზმის მიღება შესთავაზა, რაზეც ალექსანდრემ უპასუხა: "ჩვენ მოციქულთა სწავლება გვიპყრია და თქვენი სწავლების მიღება არ გვსურსო"(11).

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ სალომე დადიან-მიურატი ამ გადაწყვეტილებას სავარაუდოდ მარტივად არ მიიღებდა. ფაქტია, რომ ის შინაგანად, მრწამსით, ყოველთვის მართლმადიდებელი იყო(მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკურ ეკლესიაში შვილები კათოლიკეებად მონათლა), რადგან მეუღლის გარდაცვალებიდან მალევე მიიღო რადიკალურად განსხვავებული გადაწყვეტილება. კათოლიკურად ჩაფიქრებული ტაძარი უკვე მართლმადიდებლურად აკურთხებინა მეუღლის სიყვარულის, ერთობლივი თანაცხოვრების, მისი ხსოვნის პატივისცემის მიუხედავადაც კი.

მივდივართ დასკვნამდე, რომ ჭკადუაშში კათოლიკურად ეკლესიის არსებობა რეალურად არ განხორციელდა. მიუხედავად იმისა, რომ იდეა ფრანგი კათოლიკე მეუღლის მიერ იყო მოფიქრებული და თითქმის ხორცშესხმულიც. მშენებარე ტაძარი ფორმითაც კათოლიკური იყო და არსითაც იქაური მცირე ფრანგი კათოლიკური მრევლისთვის იყო განკუთვნილი. ამის ხორცშესხმას კი სწორედ სალომე დადიანმა შეუშალა ხელი. მართლმადიდებლურ ეკლესიად გადაკეთებული ტაძარი მოქმედი იყო და წირვა-ლოცვას აღავლენდა კარის მღვდელი და სალომეს მოძღვარი სამსონ(აქვსენტი) ჭანტურია. კათოლიკე პრინცის იდეა აეშენებინა კათოლიკური ტაძარი, მიმართული იყო არა ზოგადად

კათოლიციზმის (ფართო გაგებით) საქადაგებლად და თუნდაც ჭკადუაშში მცხოვრები ქართველი მართლმადიდებელი მრევლის წინააღმდეგ, არამედ იყო მხოლოდ პატივისცემა საკუთარი და იმ მცირე ფრანგი ამალის შინაგანი მრწამსისა.

წყაროები და ლიტერატურა:

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. I, ი. აბულაძის რედაქციით, თბ., 1963.

გრიგალაშვილი ს., ქართული კულტურის კერა საფრანგეთში XIXს-ის მეორე ნახევარში, თბ., 2006.

თვარაძე რ., თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა, თბ., 1983.

კაკაბაძე ნ; რუხაძე ნ; კავკასია და საქართველო გერმანულ ლიტერატურაში, თბ., 1963.

გრაფინია ბერტა ზუტნერის დღიური სამეგრელოში 1876-1885 წწ.(სამ ენაზე), ვერონიკა დე შაბო ტრამეკური, პრინცესა ალენ მიურატი, ფრანგულიდან თარგმნა მზია გობეჩიამ, თბ., 2022.

ქ.ც.ა. ფ.I.ს. 7483.

ანთია ე., ჭკადუაში-ჩინებულთა კერა და მიურატთა ნავსაყუდელი, თბ., 2010.

გაზ. ახალხო გაზეთი, 1996 W21, 29 თებერვალი.

ჟურნ. კადმოსი, ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი, თბ., 7.2015.

გაზ. ივერია, 1895, 28. II.

წმინდანთა ცხოვრება ტ. IV, თბ., 2003.

კალანდია გ., გაძარცული საგანძური, თბ., 2006.